GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

In hoc signo vinces

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი/Bachelor of Mass Communication

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამის მიზანი:

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად წარმოქმნილ რეალობაში საზოგადოება და მისი თითოეული წევრი დგას მრავალი შესაძლებლობისა და, ასევე, გამოწვევის წინაშე. მზარდი ცვლილებების შედეგად უფრო და უფრო მეტი მედია, კომერციული, არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაცია საჭიროებს ციფრულ სივრცეში სწორ კომუნიკაციას და ზრდის მოთხოვნას შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე კადრებზე. ციფრული გარემო კომუნიკაციის მომავალი პროფესიონალებისგან მოითხოვს მრავალმხრივ ცოდნასა და თვითგანვითარების უნარს. აქედან გამომდინარე, ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე ციფრული კომუნიკაციის უნივერსალური სპეციალისტის მომზადებას. ჰოლისტიკური პროგრამა ისეა აგებული, რომ კომუნიკაციების მომავალმა სპეციალისტებმა შეიძინონ კომპლექსური ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც მათ ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით, პროფესიული ამოცანების ეფექტურად და ეთიკურად გადაჭრაში დაეხმარებათ.

პროგრამის მიზანია, სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშავოს:

- ფართო თეორიული ცოდნა მედიისა და კომუნიკაციის ძირითად მიმართულებათა შესახებ, და ციფრული კომუნიკაციის დარგობრივი ცოდნა.
- პროფესიული ამოცანების ეფექტურად გადაჭრის უნარი, რაც გულისხმობს შესაბამისი ინფორმაციის მოძიებასა და კრიტიკულ გააზრებას, ციფრული ინსტრუმენტებისა და არხების გამოყენებით მედიაპროდუქტის შექმნასა და გავრცელებას.

- კრიტიკული აზროვნების, ზეპირი, ვიზუალური, წერილობითი ფორმით რაციონალური, დასაბუთებული არგუმენტების წარმოჩენის უნარი; ასევე გუნდში და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი; ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა ან ისტორია; უცხო ენა - ინგლისური.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;
ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;
გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

## პროგრამის სწავლის შედეგები:

**პროგრამა მიზნად ისახავს ქვემოთ ჩამოთვლილი 7 სწავლის შედეგის მიღწევას :**

**შედეგი 1**: განსაზღვრავს კომუნიკაციის თეორიების, ფორმების, ტექნოლოგიებისა და არხების დანიშნულებას საზოგადოების განვითარების ჭრილში; განსაზღვრავს მედიისა და კომუნიკაციის როლს ისტორიულ და დემოკრატიულ ჭრილში; აღწერს ტექნოლოგიების გავლენას კომუნიკაციებზე და მსჯელობს თანამედროვეობის გამოწვევების შესახებ.
**შედეგი 2:** აღწერს ჟურნალისტიკის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ციფრული კომუნიკაციის სტანდარტებს, პრინციპებსა და ღირებულებებს.
**შედეგი 3:** კრიტიკულად აფასებს პროფესიულ ამოცანას, ანალიზის საფუძველზე ქმნის მედია პროდუქტს (აუდიოვიზუალური, ტექსტური, მულტიმედია და სხვა); სხვადასხვა აუდიტორიისა და მიზნებისთვის შეარჩევს და იყენებს კომუნიკაციის ეფექტურ ფორმატსა და არხებს.
**შედეგი 4:** დამოუკიდებლად ქმნის, მართავს და განავითარებს სხვადასხვა ტიპის ციფრულ საკომუნიკაციო არხს.
**შედეგი 5:** აგროვებს, აანალიზებს, აფასებს და იყენებს ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებიდან.
**შედეგი 6:** ეფექტურად ერთვება კომუნიკაციაში პროფესიული და არაპროფესიული სფეროს წარმომადგენლებთან, აქტიურად მონაწილეობს ჯგუფურ აქტივობებსა და დისკუსიებში; როგორც წერილობით, ასევე ზეპირად, თანმიმდევრულად გადმოსცემს შესაბამის შინაარსს; მიღებულ ცოდნას იყენებს განსხვავებულ კონტექსტში.
**შედეგი 7:** პატივს სცემს განსხვავებულ აზრს, ადამიანის უფლებებს; აღიარებს და იზიარებს პროფესიული ეთიკის ფუნდამენტურ პრინციპებს; ისწრაფვის ცოდნის მუდმივად განახლებისკენ.

### მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

| | მიზანი 1 | მიზანი 2 | მიზანი 3 | მიზანი 4 |
|---|---|---|---|---|
| შედეგი 1 | X | | | |
| შედეგი 2 | X | | | X |
| შედეგი 3 | | X | X | |
| შედეგი 4 | | X | X | X |
| შედეგი 5 | | X | X | |
| შედეგი 6 | | X | X | X |
| შედეგი 7 | | X | | X |

## პროგრამის სტრუქტურა:

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა შედგება რვა სემესტრისგან, რომლის განმავლობაში სტუდენტი აგროვებს 240 კრედიტს. პროგრამის მანძილზე სტუდენტს აქვს სავალდებულო და არჩევითი, ასევე ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის გარეთ სხვა საბაკალავრო პროგრამების ფარგლებში თავისუფალი კრედიტების დაგროვების საშუალება.

სავალდებულო საგნები - 165 კრედიტი
არჩევითი საგნები - 30 კრედიტი
თავისუფალი არჩევითი საგნები - 24 კრედიტი
სავალდებულო პრაქტიკა სტუდენტურ მედიაში - 6 კრედიტი
სტუდენტური პორტფოლიო - 15 კრედიტი

## ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი \ მოდული | ECTS კრედიტი/საათი | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა2 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | საკონტაქტო საათები | დამოუკიდებელი საათები |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | | |
| | | | **ინგლისური ენის კომპონენტი[5]** | **4** | **4** | | | | | | | | |
| 1. | ENG 202 | პრეტესტი | ინგლისური ენა B1.1 | 4/100 | | | | | | | | 32 | 68 |
| 2. | ENG 203 | პრეტესტი | ინგლისური ენა B2.1 | 4/100 | | | | | | | | 32 | 68 |
| 3. | ENG 204 | პრეტესტი | ინგლისური ენა C1.1 | 4/100 | | | | | | | | 32 | 68 |
| 4. | ENG 212 | ENG 202 | ინგლისური ენა B1.2 | | 4/100 | | | | | | | 32 | 68 |
| 5. | ENG 213 | ENG 203 | ინგლისური ენა B2.2 | | 4/100 | | | | | | | 32 | 68 |
| 6. | ENG 214 | ENG 204 | ინგლისური ენა C1.2 | | 4/100 | | | | | | | 32 | 68 |
| | | | **სავალდებულო საგნები** | **27** | **27** | **26** | **23** | **20** | **20** | **10** | **28** | | |
| 1. | DMC 101 | არ გააჩნია | სიტყვის მხატვრული ფუნქცია და ენობრივი კომპეტენციები | 4/100 | | | | | | | | 34 | 66 |
| 2. | DMC 105 | არ გააჩნია | მსოფლიო სახელოვნებო მემკვიდრეობა და თანამედროვეობა 1 | 5/125 | | | | | | | | 34 | 91 |
| 3. | DMC 102 | არ გააჩნია | ინფორმაციული და ციფრული წიგნიერება | 4/100 | | | | | | | | 48 | 52 |

---

[1] კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

[2] სტუდენტის სასწავლო დატვირთვა - დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

[3] საკონტაქტო საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

[4] დამოუკიდებელი საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

[5] ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა 8 კრედიტის მოცულობით სასწავლო წლის განმავლობაში. ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან უფრო მაღალ დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი) თავისუფლდება ინგლისური ენის კომპონენტიდან. ინგლისური ენის კომპონენტი წარმოდგენილია დონეების მიხედვით - ორი სემესტრის განმავლობაში. სტუდენტები ნაწილდებიან პრეტესტის საშუალებით შესაბამის დონეზე. აღნიშნული კომპონენტი სავალდებულოა, შემდგომ სემესტრებში კი დონეების მიხედვით წარმოდგენილია არჩევითი საგნების ბლოკში.

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. | DMC 104 | არ გააჩნია | პოლიტიკური კომუნიკაციების ისტორია | 5/125 | | | | | | | | 34 | 91 |
| 5. | DMC 103 | არ გააჩნია | კომუნიკაციის ფსიქოლოგია | 5/125 | | | | | | | | 34 | 91 |
| 6. | DMC 108 | არ გააჩნია | გრაფიკული დიზაინი | 4/100 | | | | | | | | 34 | 66 |
| 7. | DMC 109 | არ გააჩნია | ფოტოგრაფია | | 4/100 | | | | | | | 34 | 66 |
| 8. | DMC 111 | არ გააჩნია | აკადემიური წერა | | 4/100 | | | | | | | 34 | 66 |
| 9. | DMC 106 | DMC 105 | მსოფლიო სახელოვნებო მემკვიდრეობა და თანამედროვეობა 2 | | 5/125 | | | | | | | 34 | 91 |
| 10. | DMC 107 | არ გააჩნია | მედია და ძალაუფლება | | 4/100 | | | | | | | 34 | 66 |
| 11. | DMC 110 | არ გააჩნია | ახალი ამბების თხრობა | | 6/150 | | | | | | | 62 | 88 |
| 12. | DMC 112 | არ გააჩნია | შესავალი მარკეტინგში | | 4/100 | | | | | | | 32 | 68 |
| 13. | DMC 202 | არ გააჩნია | საზოგადოებასთან ურთიერთობის შესავალი | | | 4/100 | | | | | | 34 | 66 |
| 14. | DMC 201 | DMC 110 | პოდკასტის წარმოება | | | 7/175 | | | | | | 45 | 130 |
| 15. | DMC 205 | DMC 110 | პროფესიული ეთიკის საფუძვლები | | | 5/125 | | | | | | 34 | 91 |
| 16. | DMC 203 | არ გააჩნია | შესავალი ვიზუალურ კომუნიკაციებში | | | 5/125 | | | | | | 39 | 86 |
| 17. | DMC 215 | DMC 112 | ციფრული მარკეტინგი | | | 5/125 | | | | | | 34 | 91 |
| 18. | DMC 210 | არ გააჩნია | მონაცემების კომუნიკაცია | | | | 5/125 | | | | | 34 | 91 |
| 19. | DMC 207 | DMC 201 | ვიდეოწარმოება და მონტაჟი | | | | 4/100 | | | | | 34 | 66 |
| 20. | DMC 204 | DMC 202 | PR ქეისები | | | | 4/100 | | | | | 34 | 66 |
| 21. | DMC 206 | არ გააჩნია | სოციალური მედიის პლატფორმები | | | | 5/125 | | | | | 34 | 91 |
| 22. | DMC 211 | არ გააჩნია | მედია და მანიპულაცია | | | | 5/125 | | | | | 34 | 91 |
| 23. | DMC 301 | DMC 207 | ვიზუალური თხრობა | | | | | 5/125 | | | | 34 | 91 |
| 24. | DMC 302 | DMC 215 | ქოფირაითინგი | | | | | 5/125 | | | | 32 | 93 |
| 25. | DMC 303 | არ გააჩნია | ვებ-ტექნოლოგიები და პროგრამირება | | | | | 5/125 | | | | 34 | 91 |
| 26. | DMC 304 | არ გააჩნია | მედია სამართალი | | | | | 5/125 | | | | 34 | 91 |
| 27. | DMC 310 | არ გააჩნია | კიბერკულტურა | | | | | | 5/125 | | | 34 | 91 |
| 28. | DMC 309 | DMC 303 | ვებ-დიზაინი და პროგრამირება | | | | | | 7/175 | | | 64 | 111 |
| 29. | DMC 312 | DMC 202 | მედიასთან ურთიერთობა და ბრენდული მედია | | | | | | 4/100 | | | 30 | 70 |
| 30. | DMC 311 | DMC 202<br>DMC 215 | კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება სოციალურ მედიაში | | | | | | 4/100 | | | 32 | 68 |
| 31. | DMC 401 | DMC 111 | მასკომუნიკაცია | | | | | | | 5/125 | | 34 | 91 |
| 32. | DMC 406 | DMC 111 | კომუნიკაციის კვლევა | | | | | | | 5/125 | | 34 | 91 |
| 33. | DMC 407 | არ გააჩნია | პერსონალური ბრენდინგი | | | | | | | | 4/100 | 32 | 68 |
| 34. | DMCP 490 | DMC 109<br>DMC 110<br>DMC 201<br>DMC 205<br>DMC 215<br>DMC 301<br>DMC 303<br>DMC 309 | სასწავლო პრაქტიკა | | | | | | | | 6/150 | 35 | 115 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 35. | DMCF 499 | ყველა სავალდებულო საგანი | სტუდენტური პორტფოლიო | | | | | | | | 15/375 | 30 | 345 |
| | | | **არჩევითი საგნები** | | | | **5** | **10** | **5** | **10** | | | |
| 1. | DMCE 010 | არ გააჩნია | საზოგადოებრივი აზრი | | | | 5/125 | | 5/125 | | | 34 | 91 |
| 2. | DMCE 012 | არ გააჩნია | ვიდეო რეპორტინგი | | | | | | 5/125 | | | 60 | 65 |
| 3. | DMCE 013 | არ გააჩნია | კრეატივი საზოგადოებასთან ურთიერთობაში | | | | 5/125 | | 5/125 | | | 34 | 91 |
| 4. | DMCE 014 | არ გააჩნია | საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პიარი | | | | | 5/125 | | 5/125 | | 32 | 93 |
| 5. | DMCE 016 | არ გააჩნია | სამთავრობო უწყებების საზოგადოებასთან ურთიერთობა | | | | | 5/125 | | 5/125 | | 34 | 91 |
| 6. | DMCE 015 | არ გააჩნია | შემოქმედებითი წერა | | | | 5/125 | | 5/125 | | | 34 | 91 |
| 7. | DMCE 018 | არ გააჩნია | კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა | | | | | | 5/125 | | | 30 | 95 |
| 8. | DMCE 022 | არ გააჩნია | არჩევნების გაშუქება | | | | 4/100 | | | | | 24 | 66 |
| 9. | DMCE 023 | არ გააჩნია | ჯანმრთელობის საკითხების გაშუქება | | | | 5/125 | | 5/125 | | | 34 | 91 |
| 10. | DMCE 024 | არ გააჩნია | გარემოსდაცვითი საკითხები და საზოგადოებასთან ურთიერთობა | | | | | 5/125 | | | | 34 | 91 |
| 11. | DMCE 026 | არ გააჩნია | მენეჯმენტის საფუძვლები | | | | 5/125 | | 5/125 | | | 34 | 91 |
| 12. | DMCE 020 | არ გააჩნია | შესავალი ბრენდინგში | | | | 4/100 | | 4/100 | | | 24 | 76 |
| 13. | DMCE 027 | არ გააჩნია | საძიებო სისტემების ოპტიმიზაცია | | | | 4/100 | | 4/100 | | | 24 | 76 |
| 14. | DMCE 028 | არ გააჩნია | მომხმარებლის ქცევა | | | | | | | 4/100 | | 34 | 66 |
| 15. | ELT VC 03 | DMCE 020 | ბრენდის კომუნიკაცია Advanced LAB | | | | | 12/300 | | 12/300 | | 78 | 222 |
| 16. | BA/ELT ADP406 | არ გააჩნია | სპიკერების სერია/ფროდაქშენ ლაბი | | | | | 5/125 | | 5/125 | | 30 | 95 |
| 17. | BA/ELT ADP404 | არ გააჩნია | ფროდაქშენის სტრუქტურა/ღირებულებები და სამუშაო სპეციფიკა | | | | | 5/125 | | 5/125 | | 30 | 95 |
| 18. | BA/ELT ADP402 | არ გააჩნია | ბიდინგი და პროდუსირება | | | | | 5/125 | | 5/125 | | 30 | 95 |
| 19. | BA/ELT ADP403 | არ გააჩნია | გადაღების წარმოება, პროცესის დაგეგმვა და მართვა | | | | | 5/125 | | 5/125 | | 30 | 95 |
| 20. | BA/ELT ADP405 | არ გააჩნია | გადასაღები მოედნის მართვა | | | | | 5/125 | | 5/125 | | 30 | 95 |
| | | | **თავისუფალი კრედიტები** | | | | 4 | | 5 | 15 | | | |
| **სემესტრში** | | | | 31 | 31 | 26 | 32 | 30 | 30 | 35 | 25 | | |
| **წელიწადში** | | | | 62 | | 58 | | 60 | | 60 | | | |

## სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის თითოეული შედეგისთვის განისაზღვრა სამდონიანი იერარქია: I, D, M და პრაქტიკული კომპონენტი P, საიდანაც I აღნიშნავს მოცემული საგნის შედეგზე გასვლას გაცნობით დონეზე (Introduction), D აღნიშნავს გაღრმავებას (Developement), M აღნიშნავს განმტკიცებას (Mastering), ხოლო P აღნიშნავს მოცემული საგნის მოცემულ შედეგს პრაქტიკაში (Practice). შესაძლებელია, რომ საგანი გადიოდეს გაცნობისა და პრაქტიკის (IP) ან პრაქტიკისა და გაღრმავების (DP) დონეზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, თითოეული შედეგის გასწვრივ მოცემულია ნიშნულების სვეტი. შესაბამისი ნიშნულისა და საგნის თანაკვეთის უჯრაში, მაშინ როდესაც საგნის გავლა იწვევს შედეგის რომელიმე დონეზე გასვლას, მითითებული პროცენტული მაჩვენებელი ასახავს საგანში დადებითი ნიშნის მიღების მიზნობრივ ნიშნულს. დაშვებული გადახრა თითოეული ნიშნულისთვის 15%-ს შეადგენს.

| საგანი/შედეგები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სიტყვის მხატვრული ფუნქცია და ენობრივი კომპეტენციები | | | IP | | | | |
| მსოფლიო სახელოვნებო მემკვიდრეობა და თანამედროვეობა 1 | I | | IP | | I | I | |
| ინფორმაციული და ციფრული წიგნიერება | IP | | IP | | DP | | I |
| ინგლისური ენა B1.1; B2.1 | | | | | | I | |
| ინგლისური ენა B1.2; B2.2 | | | | | | D | |
| პოლიტიკური კომუნიკაციების ისტორია | I | I | I | | I | IP | I |
| კომუნიკაციის ფსიქოლოგია | | | I | | IP | I | |
| გრაფიკული დიზაინი | | | I | | | IP | |
| ფოტოგრაფია | IP | I | IP | | | | I |
| აკადემიური წერა | | | DP | | IP | | I |
| მსოფლიო სახელოვნებო მემკვიდრეობა და თანამედროვეობა 2 | D | | | | D | | D |
| მედია და ძალაუფლება | D | I | | | D | D | DP |
| ახალი ამბების თხრობა | I | DP | IP | | D | DP | D |
| შესავალი მარკეტინგში | I | DP | | | D | DP | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საზოგადოებასთან ურთიერთობის შესავალი | I | IP | I | | DP | DP | I |
| პოდკასტის წარმოება | D | DP | IP | | DP | D | I |
| პროფესიული ეთიკის საფუძვლები | I | IP | | | | | DP |
| შესავალი ვიზუალურ კომუნიკაციებში | I | IP | IP | | IP | I | |
| ციფრული მარკეტინგი | I | DP | DP | DP | | I | |
| მონაცემების კომუნიკაცია | I | IP | IP | | DP | | |
| ვიდეოწარმოება და მონტაჟი | IP | IP | IP | | | IP | IP |
| სოციალური მედიის პლატფორმები | I | D | IP | I | IP | IP | |
| PR ქეისები | I | D | | | I | I | |
| მედია და მანიპულაცია | D | DP | | | DP | D | D |
| ვიზუალური თხრობა | I | D | D | | D | DP | D |
| ქოფირაითინგი | D | D | DP | | | DP | |
| ვებ-ტექნოლოგიები და პროგრამირება | I | | | IP | | | |
| მედია სამართალი | I | | | | D | DP | |
| კიბერკულტურა | D | | I | DP | DP | | IP |
| ვებ-დიზაინი და პროგრამირება | | DP | | D | | | |
| მედიასთან ურთიერთობა და ბრენდული მედია | D | DP | DP | | | D | D |
| კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება სოციალურ მედიაში | IP | DP | DP | | DP | DP | |
| მასკომუნიკაცია | M | | DP | | M | DP | D |
| კომუნიკაციის კვლევა | M | | D | | M | M | D |
| პერსონალური ბრენდინგი | M | | DP | | | DP | D |
| სასწავლო პრაქტიკა | M | M | M | M | M | M | M |
| სტუდენტური პორტფოლიო | M | M | M | M | M | M | M |

## სწავლება-სწავლის მეთოდები:

☒ ლექცია
☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა
☒ პრაქტიკული მუშაობა
☒ ელექტრონული რესურსით სწავლება
☒ პროექტული მუშაობა
☒ პროგრამული პროდუქტების შემუშავება/დაპროგრამება
☒ დისკუსიები, ინტერაქტიული სწავლება
☒ ქეისების შესწავლა და ანალიზი
☒ მონაცემების დამუშავება
☒ ელექტრონული სწავლება

აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4

B = 3,2
C = 2,4
D = 1,6
E = 0,8

**დასაქმების სფერო:**

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ ონლაინ მედიაში ან ტრადიციული მედიის ონლაინ-სივრცეში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ; საერთაშორისო, არასამთავრობო, სამთავრობო და კომერციული კომპანიების საზოგადოებასთან ურთიერთობის, ან მარკეტინგის სამსახურებში, განსაკუთრებით, სოციალური მედიის მენეჯერების, კონტენტის მწარმოებლების და ონლაინ თემის კურატორების პოზიციებზე; ასევე, შეძლებენ დამოუკიდებლად შექმნან და განავითარონ ონლაინ მედია-პლატფორმა.

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:**

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ციფრული მედიისა და კომუნიკაციის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:**

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:**

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტსა და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.
- პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი აუდიო-ვიდეო აპარატურა, პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფა.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.

**შენობა-ნაგებობანი -** საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

**ბიბლიოთეკა** - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

**აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე** - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

**საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები** - ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების

განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

**პროგრამის ხელმძღვანელი:**

**ანა ქეშელაშვილი**

ბროსეს ქ. #2
თბილისი, 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 2 497545
მობ: (995 595) 902905
e-Mail: a.keshelashvili@gipa.ge

**დანართი №1**

**პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე**
**(CURRICULUM VITAE)**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **სახელი, გვარი** | ანა ქეშელაშვილი | | | |
| **თანამდებობა** | პროფესორი | | | |
| **სამუშაო ადგილი** | ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | | | |
| **საკონტაქტო ინფორმაცია** | ტელეფონი:995 | 595 902905 | ელ-ფოსტა: | a.keshelashvili@gipa.ge |
| **დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები** | **დისერტაციის თემა:** *ჟურნალისტური ინოვაციების დანერგვის ტენდენციების შესწავლა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ჟურნალისტიკის პროგრამებში ქსელური ანალიზის ჭრილში.*<br>Innovation among Georgian journalism educators: A network analysis perspective<br><br>**სამეცნიერო კვლევის სფეროები:** ჟურნალისტური განათლება; ტექნოლოგიების გავლენა ჟურნალისტის პროფესიასა და საქმიანობაზე; სამოქალაქო ჟურნალისტიკა და მოქალაქე ჟურნალისტების იდენტობა; თვითპრეზენტაცია და იმიჯის მენეჯმენტი; ინფორმაციის გადამოწმების ტექნოლოგიები. | | | |
| **პუბლიკაციები** | Bolkvadze N., Chachava K., Ghvedashvili G., Lange-Ionatamišvili E., McMillan J., Kalandarishvili N., Keshelashvili A., Kuprashvili N., Sharashenidze T., Tsomaia T., *Georgia's Information Environment through the Lens of Russia's Influence* (2021). Riga: NATO Strategic Communications Centre of Excellence.<br><br>Internews (2021). Georgia: An Information Ecosystem Assessment<br>https://internews.org/resource/georgia-information-ecosystem-assessment/ | | | |

European Journalism Training Association (EJTA) research project (2019) *Journalistic Roles, Values and Qualifications in the 21st Century; how journalism educators in Europe view the future of a profession in transition.* https://www.ejta.eu/sites/ejta.eu/files/2019%2004%2012%20DROK%20Report%20RVQ.pdf

Tsomaia, T. and Keshelashvili, A. (2019). Georgia: On the way to quality journalism education in Accreditation and Assessment of Journalism Education in Europe: *Quality Evaluation and Stakeholder Influence* by Eva Nowak [ed.]. Nomos, Baden-Baden, pp. 51-64.

European Journalism Training Association (EJTA, 2019) research project Journalistic Roles, Values and Qualifications in the 21st Century; how journalism educators in Europe view the future of a profession in transition.

Keshelashvili, A., Drok, N., & Chakvetadze, T. (სამუშაო პროცესში). How do Georgian Journalism Educators View the Profession in Transition.

Mortensen, T. M., Jones, J., & Keshelashvili, A. (2015). Dear Citizen Photojournalists: Who are you? Studying the motivations and values of citizen photojournalists. Photographies, 8(2), 211-230. https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/17540763.2015.1066651

Mortensen, T. B., Keshelashvili, A. &Weir, T. (2015): Who We Are. A Q-study of types of citizen journalists. Digital Journalism, DOI: 10.1080/21670811.2015.1053506 https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/21670811.2015.1053506?journalCode=rdij20

Keshelashvili, A. (2014). Innovation among Georgian journalism educators: A network analysis perspective (Doctoral dissertation, University of South Carolina).
https://scholarcommons.sc.edu/cgi/viewcontent.cgi?article=4004&context=etd

Mortensen, T. B., & Keshelashvili, A. (2013). If Everyone with a Camera Can Do This, Then What? Professional Photojournalists' Sense of Professional Threat in the Face of Citizen Photojournalism. Visual Communication Quarterly, 20(3), 144-158.
https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/15551393.2013.820587

ქეშელაშვილი, ა., ნაჭყებია, თ., პაიჭაძე გ. და ასათიანი ს. (2013) ვიდეო ადვოკატირების სახელმძღვანელო. პროექტი ჰარმონია, თბილისი, საქართველო
https://docs.google.com/viewer?url=http%3A%2F%2Fcivics.ge%2Fuploads%2Fvideo_advocacy_manual.pdf

**დანართი №2**

**ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ**

| № | სახელი და გვარი | სტატუსი | სასწავლო კურსი |
|---|---|---|---|
| 1. | ზაალ ჩხეიძე | მოწვეული ლექტორი | მსოფლიო სახელოვნებო მემკვიდრეობა და თანამედროვეობა 1<br>მსოფლიო სახელოვნებო მემკვიდრეობა და თანამედროვეობა 1I |
| 2. | დიანა ანფიმიადი | მოწვეული ლექტორი | სიტყვის მხატვრული ფუნქცია და ენობრივი კომპეტენციები |
| 3. | გიორგი თუშმალიშვილი | მოწვეული ლექტორი | პოლიტიკური კომუნიკაციების ისტორია |
| 4. | თინათინ ცომაია | პროფესორი | ინფორმაციული და ციფრული წიგნიერება<br>ჯანმრთელობის საკითხების გაშუქება |
| 5. | მარიამ სეხნიაშვილი | ასისტენტ-პროფესორი | საზოგადოებასთან ურთიერთობის შესავალი |
| 6. | თინათინ ზანძელაძე | ასისტენტ-პროფესორი | კომუნიკაციის ფსიქოლოგია |
| 7. | რუსუდან ფანოზიშვილი | მოწვეული ლექტორი | ახალი ამბების თხრობა |
| 8. | ანანო ასპანიძე | მოწვეული ლექტორი | ინფორმაციული და ციფრული წიგნიერება<br>ვებ-ტექნოლოგიები და პროგრამირება<br>ვებ-დიზაინი და პროგრამირება |
| 9. | ზვიად ქორიძე | მოწვეული ლექტორი | მედია და ძალაუფლება |
| 10. | ნიკოლოზ აბუაშვილი | პროფესორი | შესავალი მარკეტინგში |
| 11. | ნინო მაჭარაშვილი | მოწვეული ლექტორი | მონაცემების კომუნიკაცია |
| 12. | დიმიტრი ჩიკვაიძე | მოწვეული ლექტორი | ფოტოგრაფია |
| 13. | თინათინ ნაჭყებია | ასისტენტ-პროფესორი | პოდკასტის წარმოება |
| 14. | ნინო ლიპარტელიანი | ასოცირებული პროფესორი | შესავალი ვიზუალურ კომუნიკაციებში |
| 15. | ნინო ჯაფიაშვილი | პროფესორი | პროფესიული ეთიკის საფუძვლები |
| 16. | თეკლა დავითულიანი | მოწვეული ლექტორი | სოციალური მედიის პლატფორმები |
| 17. | ელდარ პირმისაშვილი | მოწვეული ლექტორი | PR ქეისები |
| 18. | ელენე ასათიანი | ასისტენტ-პროფესორი | ვიდეოწარმოება და მონტაჟი<br>სასწავლო პრაქტიკა |
| 19. | ნინო ორჯონიკიძე | პროფესორი | ვიზუალური თხრობა<br>ვიდეო რეპორტინგი |
| 20. | დოდი ხარხელი | მოწვეული ლექტორი | ციფრული მარკეტინგი |
| 21. | ნატა ძველიშვილი | მოწვეული ლექტორი | მედია და მანიპულაცია |
| 22. | ნათია იაკობიძე | ასოცირებული პროფესორი | აკადემიური წერა |
| 23. | დავით მაკარიძე | ასოცირებული პროფესორი | კიბერკულტურა |
| 24. | ეკატერინე ბასილაია | ასისტენტ-პროფესორი | მასკომუნიკაცია |
| 25. | ანა ქეშელაშვილი | პროფესორი | კომუნიკაციის კვლევა |
| 26. | თინათინ სტამბოლიშვილი | ასოცირებული პროფესორი | კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება სოციალურ მედიაში<br>მომხმარებლის ქცევა<br>ბრენდის კომუნიკაცია Advanced LAB |
| 27. | თეა სხიერელი | მოწვეული ლექტორი | მედიასთან ურთიერთობა და ბრენდული მედია |
| 28. | მამუკა ანდღულაძე | მოწვეული ლექტორი | მედია სამართალი |
| 29. | ლალი ცერცვაძე | მოწვეული ლექტორი | ქოფირაითინგი |
| 30. | ანა შადური | მოწვეული ლექტორი | გრაფიკული დიზაინი<br>ვებ-დიზაინი და პროგრამირება |
| 31 | ანა დავითაშვილი | მოწვეული ლექტორი | პოდკასტის წარმოება |

| | | | |
|---|---|---|---|
| 32. | გიორგი იმერლიშვილი | ასისტენტ-პროფესორი | პერსონალური ბრენდინგი<br>შესავალი ბრენდინგში |
| 33. | ნინო შოშიტაიშვილი | მოწვეული ლექტორი | მენეჯმენტის საფუძვლები |
| 34. | რუსუდან რუხაძე | მოწვეული ლექტორი | შემოქმედებითი წერა |
| 35. | სალომე ბენიძე | ასისტენტ-პროფესორი | საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პიარი |
| 36. | თინათინ გოგბერაშვილი | მოწვეული ლექტორი | საძიებო სისტემების ოპტიმიზაცია |
| 37. | ნინო დანელია | მოწვეული ლექტორი | საზოგადოებრივი აზრი |
| 38. | თამარ როდონაია | მოწვეული ლექტორი | კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა |
| 39. | ზურაბ ხრიკაძე | მოწვეული ლექტორი | არჩევნების გაშუქება |
| 40. | ეკატერინე შალუტაშვილი | ასისტენტ-პროფესორი | გარემოს დაცვის საკითხები და საზოგადოებასთან ურთიერთობა |
| 41. | სოფიო ჯაჯანაშვილი | მოწვეული ლექტორი | სამთავრობო უწყებების საზოგადოებასთან ურთიერთობა |
| 42. | ნინო კალანდია | მოწვეული ლექტორი | კრეატივი საზოგადოებასთან ურთიერთობაში |
| 43. | სოფო ფარჯიანი | მოწვეული ლექტორი | გადაღების პროცესის დაგეგმვა და გადასაღები მოედნის მართვა |
| 44. | თამარ თვარაძე | მოწვეული ლექტორი | გადაღების წარმოება, პროცესის დაგეგმვა და მართვა |
| 45. | მაია გურაბანიძე | მოწვეული ლექტორი | ფროდაქშენის სტრუქტურა/დირებულებები და სამუშაო სპეციფიკა<br>სპიკერების სერია/ფროდაქშენ ლაბი |
| 46. | მარიამ თევდორაშვილი | მოწვეული ლექტორი | ბიდინგი და პროდუსირება |
| 47. | თინათინ დგებუაძე | მოწვეული ლექტორი | ინგლისური ენა ( B1; B2; C1) |
| 48 | გიორგი იმერლიშვილი | ასისტენტ-პროფესორი | ბრენდის კომუნიკაცია Advanced LAB |
| 49 | ალექსანდრე გაბუნია | მოწვეული ლექტორი | ბრენდის კომუნიკაცია Advanced LAB |